



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მთიულეთის არაგვი

მთიულეთის არაგვი, თ ე თ რ ი ა რ ა გ ვ ი, მდინარე დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში. სათავეს იღებს ზ. დ. 3180 მ-ზე, ყელის ვულკანური ზეგნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ლაგათისარისა და ხორისარის მასივებს შორის, ზედაიურულ კარბონატულ წყებასთან დაკავშირებული ვოკლუზური წყაროს სახით. მდინარის სათავესთან, დიდ მეფისკალოსა და ხორისარს შორის ვრცელი მყინვარული ცირკია. ხეობაში გვხვდება ჩქერები და ჩანჩქერები. მდინარის სიგრძეა 41 კმ. საზრდოობს მიწისქვეშა, თოვლის ნაღობი და მყინვარული (უმნიშვნელოდ) წყლებით. წყალდიდობა იცის აპრილიდან აგვისტომდე, წყალმცირობა - ზამთარში. დეკემბრის მეორე ნახ-იდან თებერვლის ბოლომდე იცის ყინულნაპირისი, თოში და ძგიფი. წყალმცირობისას წყალი სუფთაა და სასმელად ვარგისი. სოფ. ფასანაურამდე მდინარეს ზოგადად სამხრ.- აღმ. მიმართულება აქვს და ეს მონაკვეთი თეთრი არაგვის სახელს ატარებს, ვინაიდან შავ, ანუ გუდამაყრის არაგვთან შეერთების ადგილას მის წყალს მოთეთრო ფერი დაჰკრავს.

**ი. აფხაზავა**

---